



### ახალქალაქის მუზეუმს ახალი საგამოფენო დარბაზი შეემატა

აიპ ახალქალაქისა და კუმურდოს ეპარქიის მუზეუმი 2012 წელს მიტროპოლიტ ნიკოლოზის ინიციატივით დაარსდა. მისივე შეგროვებული იყო არქეოლოგიური, გეოლოგიური და ეთნოგრაფიული უნიკალური ექსპონატები.

მუზეუმში შესვლა უფასოა და ის კომუნალური გადასახადებისა და ხელფასების თანხას საპატრიარქოს ბიუჯეტიდან იღებს. დაფინანსება მწირია და ინფრასტრუქტურის განვითარება ვერ ხერხდებოდა. ვიზიტორთა რიცხვი კი ყოველწლიურად მატულობდა. ამის მიზეზი კი ის გახლავთ, რომ გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ექსპონატებისა, მუზეუმის ტერიტორიაზე ქრისტიანულ სამყაროში „მეხუთე სახარებად“ წოდებული ტურინის სუდარის ზუსტი ასლი საგანგებოდ აშენებულ ეკვდერში ინახება.



პროექტის შედეგად დასაქმდა: 3 ადგილობრივი  
პროექტის მთლიანი ბიუჯეტი: 153,789.18 ლარი  
ევროკავშირის დაფინანსება: 123,762.22 ლარი  
თანადაფინანსება: 30,026.96 ლარი



“სიწმინდის მოსალოცად უამრავი ადამიანი ჩამოდის, როგორც საქართველოდან, ასევე უცხოეთიდან. აღსანიშნავია, რომ ტურინის სუდარას ახლავს სპეციალური სერთიფიკატი, რომელიც ადასტურებს მის იდენტურობას ორიგინალთან. სუდარისათვის სპეციალურად აგებული შენობა კი მოხატულია დავით სულაკაურის მიერ ერთ-ერთი ყველაზე რთული და უძველესი მეთოდით, რომელიც ენკაუსტიკის სახელითაა ცნობილი,” - ამბობს მუზეუმის დირექტორი ნინო მურცხვალაძე.

მისივე თქმით, მეუფე ნიკოლოზი მხატვრის ოჯახში გაიზარდა და მას ცნობილი ქართველი მხატვრების მიერ შესრულებული ნამუშევრების არაჩვეულებრივი კოლექცია ჰქონდა, რომელსაც მის მამას, ასევე ცნობილ მხატვარ-კერამიკოსს გივი ფაჩუაშვილს კოლევები ჩუქნიდნენ. მეუფემ პირადი კოლექცია მუზეუმს გადასცა. ასე აღმონდნენ ელენე ახვლედიანის, ლადო გუდიაშვილის და დავით კაკაბაძის შედეგები ახალქალაქის მუზეუმში. ასეთ საგანმურს კი სპეციფიკური მოვლა და პირობების სჭირდება. მუზეუმმა დახმარებისათვის LAG-ს მიმართა. შეიქმნა სოციალური პროექტი, რომელიც ევროკავშირმა დააფინანსა.





“გრანტის სახით მიღებული თანხით მუზეუმს დავაშენეთ მეორე სართული, რომელიც თანამედროვე მუზეუმისათვის აუცილებელი განათების, ტემპერატურული და უსაფრთხოების სისტემებითაა აღჭურვილი. დარბაზში უკვე გამოფენელია ცნობილი ქართველი და სომეხი მხატვრების ნამუშევრები, რომელთა დათვალიერებაც ვიზიტორებს უფასოდ შეუძლიათ.”, - ამბობს მუზეუმის დირექტორი.

განახლებულმა ინფრასტრუქტურამ ახალი თანამშრომლების დამატებაც მოითხოვა და როგორც ქალბატონი ნინო აღნიშნავს, 3 ადგილობრივი უკვე დასაქმდა მუზეუმში.

ზოგადად, მუზეუმი საზოგადოების განვითარების სამსახურში მყოფი ინსტიტუტია, რომელიც ყოველთვის ღიაა ფართო საზოგადოებისთვის და გალერიებისაგან განსხვავებით, ფინანსურ მოგებაზე არ არის ორიენტირებული. ახალქალაქში ასეთი ტიპის კულტურული ცენტრის არსებობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან რეგიონი არ არის განვითარებული მსგავსი დაწესებულებების სიუხვით. ის ხელს შეუწყობს ამ უძველესი ქალაქის პოპულარიზებას, მეტი ტურისტის მოზიდვას და ადგილობრივი ახალგაზრდების კულტურული გემოვნების ჩამოყალიბებას.

*ინიციატივა დაფინანსებულია ევროკავშირის საქართველოში სოფლის და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობრო პროგრამის (ENPARD)-სოფლის განვითარების ახალი მიდგომის ხედვით ახალქალაქში პროექტის ფარგლებში.*

*პროექტს ახორციელებს საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის, სოფლის მეურნეობის განვითარების და პროფესიული სწავლების დეპარტამენტი (DRDVE/GIPA). პროექტის პარტნიორები არიან მეხსი ქოხფსი, ELVA საზოგადოებრივი ჩაბრუნება და დასავლეთ კოხის განვითარების პარტნიორი.*

*ევროკავშირის მხარს უჭერს სოფლის მეურნეობასა და სოფლის განვითარებას საქართველოში ENPARD-ის პროგრამის დახმავებით. პროგრამა ხორციელდება 2013 წლიდან საერთო ბიუჯეტით 179,5 მილიონი ევრო. ENPARD-ის ძირითადი მიზანი საქართველოში სოფლად სიღარიბის დაძლევაა. პროგრამის პიხვედი ფაზის პირობით იყო სოფლის მეურნეობის განვითარების ხედვით, ხოლო მეორე და მესამე ფაზა მიზნად ისახავს სოფლად მცხოვრები ადამიანების ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობების გაზრდას. დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ ვებ-გვერდი: [www.enpard.ge](http://www.enpard.ge).*

